სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14787100313722

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220612726

რეგისტრაციის თარიღი

25.05.2022 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაორი წლის ოცდახუთ მაისს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ი.პეტრიწის ქუჩა #16, მომმართა ბექა სირაძემ. მან განაცხადა, რომ არის შპს „ელისი"-ს (რეგისტრირებული: 20/12/2018 წელს, ს/ნ 402113547) დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად ბექა სირაძემ (დაბ.03.11.1994 წელს, პირადი # 01805046326; მისამართი: თბილისი გრიგოლ რობაქიძის გამზ. N 7 კორ. 2 ბ. 28) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, ბექა სირაძე, როგორც შპს „ელისი"-ს (რეგისტრირებული: 20/12/2018 წელს, ს/ნ 402113547) დირექტორი, შემდგომში წოდებული როგორც "მიმნდობი პირი", წინამდებარე მინდობილობით კობა სურმავას (დაბ. 11.07.1977 წელს, პირადი # 62001011724) შემდგომში წოდებულნი, როგორც "მინდობილი პირი", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი საქართველოს ყველა კომპეტენტურ ორგანოში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭოში, საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში; საგადასახადო სამსახურში, სანოტარო ბიუროში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იყოს წარმომადგენელი ქალაქის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში/ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში და აწარმოოს მოლაპარაკებები მიმნდობი პირის სახელით.

მინდობილი პირი უფლებამოსილია შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებებს (კრების ოქმებს), დადოს და გააუქმოს ხელშეკრულებები/ გარიგებები/ შეთანხმებები, შეიტანოს ცვლილებები ხელშეკრულებებში/ გარიგებებში/ შეთანხმებებში. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში თანხა, ვადა და სხვა პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ;

ამისათვის მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, საჩივარი და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ანკეტა, ფორმა, დანართი, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ხელი მოაწეროს (მათ შორის, ელექტრონულად) გადაწყვეტილებებს, შედარების აქტებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, ინვოისებს, მიიღოს ამონაწერი, ჩააბაროს დეკლარაციები, მოახდინოს დოკუმენტების ელექტრონული დეკლარირება, ისარგებლოს საზოგადოების ბეჭდით; საჭიროებისამებრ გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, ჯარიმები. შეიძინოს, შეცვალოს და/ ან მიიღოს საკონტროლო სალარო აპარატი, უზრუნველყოს რეგისტრაცია.

მინდობილი პირი უფლებამოსილია მოახდინოს მიმნდობი პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცემებში ცვლილებები და კორექტირებები (მათ შორის უძრავი ქონების კვადრატულობის დაზუსტება,

სტატუსის ცვლილება, ნომრის მინიჭება და ნებისმიერი სახის პარამეტრის , რეგისტრაცია) ასევე, მოახდინოს საესაკუთრის პირად მონაცემებში ცვლილებების და დამატებების შეტანა.
მინდობილი პირი აგრეთვე უფლებამოსილია აწარმოოს ნებისმიერ ბანკში (მის ფილიალებში) ნებისმიერი სახის ოპერაცია. მართოს და განკარგოს მიმნდობი პირის სახელზე გახსნილი ანგარიში, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო-საფინანსო ოპერაციები. დაამზადოს ახალი პლასტიკური ბარათი და გაიტანოს დამზადებული ბარათი, განკარგოს გახსნილ ანგარიშზე არსებული ფულადი თანხა, შეიტანოს, გამოიტანოს, ჩარიცხოს, გადარიცხოს, მოახდინოს კონვერტაცია. მიიღოს ამონაწერები და ცნობები, მოახდინოს ნებისმიერი დისტანციური სერვისის ჩართვა, გამორთვა,ცვლილების შეტანა, გზავნილის განაღდება, სადაზღვევო პროდუქტებით სარგებლობა, დაარეგისტრიროს ახალი ინტერნეტ-ბანკი/მობაილ-ბანკი და ისარგებლოს აღნიშნული სერვისით.
ამ დავალებების შესასრულებლად შეიტანოს მიმნდობი პირის სახელით ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ანკეტა (ფორმა, დანართი), ხელი მოაწეროს (მათ შორის, ელექტრონულად) მიმნდობი პირის მაგივრად ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელოს ყველა მოქმედება, დაკავშირებული ამ დავალებების შესრულებასთან.
მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.
მინდობილობა გაცემულია **ორი წლის ვადით.**
მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.
ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:
- შპს „ელისი"-ს (რეგისტრირებული: 20/12/2018 წელს, ს/ნ 402113547) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილების #507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი: /თამარ ბაქრაძე/